



This Programme is funded by the European Union



WESTMINSTER
FOUNDATION FOR
DEMOCRACY

A Programme implemented by the Westminister Foundation for Democracy

დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“
ივნისი, 2013 წ.

წინამდებარე კვლევის მიზანია გამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სექტორის ყურადღება მიაპყროს კვლევაში მოცემულ პრობლემატიკაზე, სისხლის სამართლის პროცესში არსებითი სასამართლო განხილვის ეტაპზე შუამდგომლობის უფლებასთან დაკავშირებით, დააყენოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის საკითხი, შესთავაზოს საქართველოს პარლამენტს შესაბამისი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციები და იზრუნოს სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრაზე, რომელიც სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანგარიშის რეზიუმე:.....	3
მეთოდოლოგია:.....	4
საკვლევი საკითხის აღწერა:.....	6
შესავალი	6
კვლევის ძირითადი მიზნები:.....	9
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებების უცხო ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი (საქართველო - საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი).....	9
ევროსასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი დაცვის უფლების ქმედითობის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ჭრილში:	13
ევროსასამართლოს პრაქტიკა	13
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა	15
ინტერვიუ-გამოკითხვა სისხლის სამართლის სფეროს კომპეტენტურ სპეციალისტებთან:.....	16
საქართველოში მოღვაწე პრაქტიკოსი ადვოკატები	16
საქართველოში მოღვაწე პროკურორები	20
საქართველოში მოღვაწე მოსამართლეები	20
უცხოელი ექსპერტები	22
დასკვნა:.....	23
რეკომენდაციები:.....	24
ბიბლიოგრაფია:.....	25

ანგარიშის რეზიუმე:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმების (მუხლი 93.1 და 219.4 „ა“) დღეს არსებული ფორმულირება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას და რიგ შემთხვევებში, შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილების მცდარობის საფუძველიც გახდეს.

დამკვიდრებული პრაქტიკა (რასაც კვლევაში გამოკითხული ადვოკატები ცალსახად ადასტურებენ) ცხადყოფს, რომ მოსამართლეები, ძირითადად, სწორედ „სიტყვასიტყვით“ განმარტავენ სისხლის საპროცესო კოდექსში მოცემულ ნორმებს და მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ მხარის შუამდგომლობებს მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე განიხილავენ, ხოლო საქმის არსებითი განხილვის დროს ასეთ შუამდგომლობას განუხილველად ტოვებენ. არსებული პრაქტიკა კი ძალზედ აზარალებს მხარეს და, პრაქტიკულად, შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილებაზეც არასასურველი შედეგი მოახდინოს.

მოსამართლეებთან კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისას აღინიშნა, რომ პრობლემა კოდექსის 93-ე მუხლის ხარვეზიანობაში კი არ მდგომარეობს, არამედ ხარვეზად უფრო შეიძლება მიჩნეულ იქნეს, ერთის მხრივ, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის ურთიერთმიმართება, სადაც, ერთის მხრივ, წერია, რომ წინასასამართლო სხდომაზე განიხილება შუამდგომლობები მტკიცებულებების დაუშვებლობის თაობაზე და მეორეს მხრივ, 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხარეს უფლებას აძლევს საქმის არსებითი განხილვის დროს კონკრეტული შემთხვევის არსებობისას დააყენოს შუამდგომლობა, კონკრეტული მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექვსი ადვოკატიდან ხუთი მათგანის პრაქტიკაში, სასამართლო არსებითი განხილვის ეტაპზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე შუამდგომლობის განხილვაზეც კი უარს ამბობს და ყველა გამოკითხული ადვოკატი, მათ შორის, უცხოელი ექსპერტები, თანხმდებიან, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს შუამდგომლობის დაყენების უფლება თუ იზღუდება, ამით დაცვის უფლებაც ირღვევა. ერთ-ერთი ადვოკატის თანახმად,¹ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს ეტყვის დაცვის მხარეს მტკიცებულების დაუშვებლობაზე არსებითი განხილვის ეტაპზე, თუკი შუამდგომლობა საფუძვლიანი იყო, რასაკვირველია ევროკონვენციის² მე-6 მუხლის დარღვევამდე მივალთ. საგულისხმოა ისიც, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში არსად გვხვდება მსგავსი შეზღუდვა.

¹ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 5.

² ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემერი.

შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი საქმის მასალები ხელმისაწვდომი იყოს ორივე მხარისთვის, რათა მხარემ შეძლოს შესაბამისი დაცვის მომზადება, მათ შორის შუამდგომლობის დაყენება. თუ მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე გამოთქვას თავისი მოსაზრებები და შესაბამისად დააყენოს შუამდგომლობები, ეს ეჭვქვეშ დააყენებს სასამართლო პროცესის „სამართლიანობას“ და ცხადია, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ შუამდგომლობების დაყენების შესაძლებლობა არსებობდეს სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე,³ ვინაიდან, ხშირად, დაცვისთვის უმჯობესია შუამდგომლობა ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენოს მას შემდეგ, რაც დაიკითხებიან ჩხრეკასთან დაკავშირებული მოწმეები, როდესაც საკითხი ეხება ისეთი ბრალდების საქმეს, სადაც ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება გადაწყვეტი მნიშვნელობისაა. სხვა მიზეზებთან ერთად, ამ შემთხვევაში, აცილებული იქნება საფრთხე, რომ ბრალდების მხარემ წინასწარ მოამზადოს მოწმეები კონკრეტული თემისთვის. ამიტომ, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სისხლის საპროცესო კოდექსში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და საჭიროა ზემოთმითითებული ნორმების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მოსპობს მათი სხვაგვარად გაგება-განმარტების შესაძლებლობას და არასწორი პრაქტიკის განვითარების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს.

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოვლენილი ხარვეზის აღოსაფხვრელად საჭიროა მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე შუამდგომლობა დააყენონ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ასევე, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მნიშვნელოვანია გაკეთდეს ჩანაწერი, რომ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენება მხარეებს შეუძლიათ საქმის არსებითი განხილვის დროსაც.

მეთოდოლოგია:

წინამდებარე კვლევა შეეხება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ შუამდგომლობის დაყენების მარეგულირებელ დებულებებს, რომლებიც, მაღალი ალბათობით, მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავენ. კერძოდ, მითითებული კოდექსის

³ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

93-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა⁴ და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის⁵ მიხედვით, დაცვის მხარე შეზღუდულია სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე.

შემოთავაზებული კვლევა ეყრდნობა ხარისხობრივ მეთოდს. კერძოდ, კვლევაში განხორციელებულია ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შუამდგომლობის დაყენების მარეგულირებელი ნორმების⁶ შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებსა და უცხო ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი) შესაბამის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან. ჩამოთვლილი ქვეყნების შერჩევა მოხდა შემდეგი პრინციპით - ორი მოწინავე ქვეყანა, ორი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა და ერთი ქვეყანა კავკასიის რეგიონიდან.

ასევე, შეძლებისდაგვარად, კვლევაში შესწავლილია ევროსასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში, დაცვის უფლების ეფექტურობის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ჭრილში.

აგრეთვე, პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, კვლევის ფარგლებში ჩატარებულია შესაბამისი კომპეტენტური პირების ინტერვიუ-გამოკითხვა. კერძოდ, საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში, გამოიკითხა საქართველოში მოღვაწე, საზოგადოებისთვის ცნობილი ექვსი პრაქტიკოსი ადვოკატი. გამოიკითხა ერთი პროკურორი, რომელიც საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომელია და აქვს სათანადო კომპეტენცია, ასევე, გამოიკითხა ორი მოსამართლე (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე), რომლებიც პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევიან და სისხლის სამართლის სფეროში გააჩნიათ კარგი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ინტერვიუ-გამოკითხვა, უმთავრესად, მოიცავდა კითხვებს - თუ რამდენად ცდილობენ მხარეები საქმის არსებითი განხილვის დროს წარადგინონ შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე; საქმის არსებითი განხილვის დროს, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებას უფრო ხშირად რომელი მხარე ცდილობს; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93.1 მუხლის ფორმულირება შეიცავს თუ არა ხარვეზს; არის თუ არა მოცემული მუხლი წინააღმდეგობრივი, თუკი მას სისხლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილსა და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში განვიხილავთ; რამდენად ზღუდავს 93.1 მუხლის

⁴ „მუხლი 93. შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი

1. მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“

⁵ „მუხლი 219. წინასასამართლო სხდომა [...]“

4. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე:

ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.“

⁶ 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93.1, 169.9, 219.4 „ა“ მუხლები.

დღევანდელი ფორმულირება დაცვის უფლებას და ზოგადად, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, მაშინ როცა პრაქტიკულად პროცესის არც ერთ მხარეს არ ენიჭება უფლება იშუამდგომლოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე; როგორ გავლენას ახდენს მოცემული მუხლი და ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა საქმის საბოლოო შედეგზე და ა.შ.

აგრეთვე, გამოიკითხა სამი უცხოელი ექსპერტი. მათ შორის, ერთი უნგრელი სისხლის სამართლის სპეციალისტი ორგანიზაციიდან - “Hungarian Civil Liberties Union” (HCLU), ერთი პოლონელი სისხლის სამართლის სპეციალისტი ორგანიზაციიდან - “Helsinki Foundation for Human Rights” (HFHR) და ერთი აზერბაიჯანელი სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი. კვლევის ფარგლებში დაგეგმილი იყო უცხოელი ექსპერტების გამოკითხვა-ინტერვიუ იმ ქვეყნებიდან, რომელთა კანონმდებლობასაც წინამდებარე კვლევა ეხება შედარებითი ანალიზის კუთხით (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი), თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო, ამ პრინციპის მკაცრად დაცვა ვერ მოხერხდა. უცხოელ სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუ-გამოკითხვა, ძირითადად, მოიცავდა კითხვებს - უზრუნველყოფს თუ არა თქვენი ქვეყნის კანონმდებლობა მხარეთათვის მტკიცებულების დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე; შეუძლიათ თუ არა მხარეებს ასეთი შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის დროს დააყენონ; როგორია თქვენი მოსაზრება ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აღმოჩენილ რეგულირებაზე, რომელსაც იხილავს კვლევა; რა რეკომენდაციებს შემოგვთავაზებდით აღნიშნულთან დაკავშირებით და ა.შ.

საკვლევი საკითხის აღწერა:

შესავალი

2010 წლის 1-ლ ოქტომბერს, კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ფუნდამენტურად განსხვავდება მანამდე მოქმედი კოდექსისაგან. აღნიშნული კოდექსი მიზნად ისახავდა უკეთეს რეგულირებებს სისხლის სამართლის პროცესში და მიიჩნეოდა, რომ ის აამაღლებდა საზოგადოებრივ ნდობას მართლმსაჯულებისადმი. ასევე, ამ კოდექსს უფრო მეტად უნდა განემტკიცებინა ბრალდებულის პროცესუალური უფლებების გარანტიები. მიიჩნეოდა, რომ ახალი კოდექსი ხელს შეუწყობდა კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, გაამდიერებდა თანასწორუფლებიანობის და შეჯიბრებითობის პრინციპებს სისხლის სამართალწარმოებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სამართიანი სასამართლო განხილვის უფლების უკეთ რეალიზებას და ასევე, უზრუნველყოფდა ბრალდებულს „ჯეროვანი პროცესით“ (due process) სარგებლობის უკეთესი შესაძლებლობით.

თუმცა, ახალი საპროცესო კოდექსის პრაქტიკაში დანერგვამ, მოგვიანებით, ცხადყო, რომ ის მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა და სინამდვილეში, არასწორი პრაქტიკის განვითარებასაც კი უწყობდა ხელს, ზოგიერთ შემთხვევებში.

რეალურად, კოდექსი ვერ უწყობდა ხელს თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების განმტკიცებას, რამდენადაც კოდექსმა შემოგვთავაზა იმგვარი დებულებები, რომლებიც პირდაპირ გულისხმობს და ხაზს უსვამს ასეთი პრინციპების არარსებობას სისხლის სამართალწარმოებაში. მაგალითად, „ახალი“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაცვის მხარეს, დღეის მდგომარეობით, არ გააჩნია უფლება შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გარკვეული ადგილიდან გარკვეულ მტკიცებულებების ამოღების თაობაზე, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარეს ამის სრული შესაძლებლობა აქვს.⁷ ამასთან, ბრალდებულის ადვოკატს არ ჰქონდა უფლება უშუალოდ თვითონ გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ზედა ინსტანციებში და მხოლოდ ბრალდებული იყო აღნიშნულზე უფლებამოსილი.⁸

საყურადღებოა, რომ საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს. კერძოდ, მითითებული კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა⁹ და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის¹⁰ მიხედვით, დაცვის მხარე შეზღუდულია სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. მაგალითად, თუკი დაცვის მხარეს (ადვოკატს) თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სურს დააყენოს შუამდგომლობა და მოითხოვოს ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობა, მას შემდეგ, რაც პოლიციის შესაბამისი თანამშრომლები და სხვა მოწმეები დაიკითხებიან სასამართლოში, ან, თუკი რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი მხოლოდ წინასასამართლო სხდომის შემდეგ გამოვლინდა, დაცვის მხარეს არ ექნება შესაძლებლობა მთავარ სხდომაზე დააყენოს ასეთი შუამდგომლობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებაზე და ამდენად, სამართიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე.

⁷ ხსენებული ურთიერთობის მარეგულირებელი დებულების გადახედვის საკითხი საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით უკვე იდგა დღის წესრიგში და საქართველოს პარლამენტმა მიიღო კიდევ შესაბამისი ცვლილებები ამ კუთხით არსებული შეზღუდვის აღმოსაფხვრელად, თუმცა ცვლილების ამოქმედება 2013 წლის სექტემბრიდან იგეგმება და ამჟამად კვლავ ძველი რედაქცია მოქმედებს შესაბამისი დებულების.

⁸ ხსენებული ურთიერთობის მარეგულირებელი დებულების გადახედვის საკითხი საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით ცოტახნისწინ ასევე დადგა საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგში და ამ კუთხით არსებული შეზღუდვა უკვე მოხსნილია და ამჟამად მოქმედებს ახალი რედაქცია შესაბამისი დებულების.

⁹ „მუხლი 93. შუამდგომლობის დაყენების უფლება და წესი

1. მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“

¹⁰ „მუხლი 219. წინასასამართლო სხდომა [...]

4. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე:

ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;“

სისხლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერის შესაბამისად, მხარეებმა უზამდგომლობა შეიძლება დააყენონ „კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“ მაგალითისათვის, შესაძლოა განვიხილოთ უზამდგომლობა, რომლითაც მხარე მოითხოვს დაუშვებლად იქნეს ცნობილი მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულება. ასეთი ტიპის უზამდგომლობა - „კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში“ ჩანაწერის შესაბამისად, შესაძლოა მხარეებმა დააყენონ ან/და მტკიცებულება დაუშვებლად იყოს ცნობილი მხოლოდ ორ შემთხვევაში:

პირველი - საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში ბრალდებულს შეუძლია საჩივარი შეიტანოს ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში, სადაც შესაძლოა გარკვეულ მტკიცებულებათა დაუშვებლად მიჩნევა;

მეორე - საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც წინასასამართლო სხდომაზე, მხარეებს შეუძლიათ იუზამდგომლონ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

მითითებულ ნორმათა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის წყალობით, რაოდენ საფუძველიც არ უნდა არსებობდეს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისათვის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი), არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლო საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე არ განიხილავს მხარის უზამდგომლობას მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მხარისთვის წინასასამართლო სხდომის შემდეგ გახდა ცნობილი მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი ან გამოვლინდა ასეთი ინტერესი, მხარე ფაქტიურად ჩიხში ექცევა და საკითხს ვერ დააყენებს.

გარკვეული თვალსაზრისით, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან - „დაცვის უფლება გარანტირებულია.“

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული საკვლევი დებულებების ფორმულირება სასურველია იმგვარად შეიცვალოს, რომ დაცვის მხარეს მიენიჭოს შესაძლებლობა ჯეროვნად განახორციელოს ბრალდებულის დაცვა, რაც მოიაზრებს, რომ დაცვის მხარეს (ადვოკატს) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ბრალდების მხარის მტკიცებულება სადავო გახადოს სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

საგულისხმოა, რომ მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა მსგავს ხარვეზს. პირიქით, ძველი კოდექსის 475-ე მუხლის მე-7 ნაწილი¹¹ დადებითად

¹¹ „მუხლი 475. მტკიცებულების წარდგენა [...]

7. მხარეთა უზამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, შეიძლება დასვან, განიხილონ და გადაწყვიტონ

არეგულირებდა ამ საკითხს და დაცვის მხარეს გააჩნდა უფლება სასამართლოს წინაშე ეშუამდგომლა ბრალდების მხარის გარკვეული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. 1998 წლის საპროცესო კოდექსის 2006 წლამდე მოქმედი რედაქციით, მხარე საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავდა შუამდგომლობის წარდგენის ეტაპს და სტადიას.¹²

ამდენად, რთული ხდება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე საუბარი იმ პირობებში, როდესაც მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მსგავსი შემზღუდავი დებულებები. მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ზემოთ მითითებული დებულებები საჭიროებს დახვეწას და ცვლილებას, აშკარაა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

იმის გამო, რომ კვლევაში გამოკითხული კომპეტენტური პირები ადასტურებენ, რომ ასეთ შუამდგომლობას დაცვის მხარე უფრო ხშირად წარადგენს, დაცვის მხარის უფლებების განმტკიცებისთვის და ბრალდებულის უფლებებისთვის ძალზედ არის მნიშვნელოვანი ამ ხარვეზის გამოსწორება. საინტერესოა, თუ როგორია სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით და როგორი გამოცდილება აქვთ ამ კუთხით საქართველოში მოღვაწე ადვოკატებს, პროკურორებს, მოსამართლეებს. შემოთავაზებული კვლევა არკვევს, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაცვის უფლების და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების განმტკიცებას, დაცვის მხარისათვის სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლების მინიჭება. აგრეთვე, შეისწავლის რეალურად არსებობს თუ არა პრაქტიკაში საკვლევი პრობლემა და მისი არსებობის შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებს სთავაზობს.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებების უცხო ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი (საქართველო - საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი)

კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებებს სისხლის სამართლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, თუ ისინი აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ

მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისა და განხილვიდან მისი ამოღების საკითხი.“ (2006 წლამდე მოქმედი რედაქცია).

¹² „მუხლი 231. შუამდგომლობის განცხადების წესი

1. შუამდგომლობის განცხადება შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“ (2006 წლამდე მოქმედი რედაქცია).

მდგომარეობას, დაუშვებელია და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობა მხარეებს შორის გარანტირებულია, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე.¹³

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირეულ მოთხოვნას სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს. პროცესის სამართლიანობა გულისხმობს, ბრალდებულისთვის შანსის მიცემას, ეფექტურად დაიცვას თავი მატერიალურად და პერსონალურად მასზე გაცილებით უკეთესად აღჭურვილი პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებებისგან. ცნება „სამართლიანი პროცესი“ ძალზედ ზოგადია და შედგება ცალკეული ელემენტებისაგან. ამ ელემენტებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ცალკეული უფლებები, რომლებიც მას პროცესის აქტიურ სუბიექტად აქცევენ, მათ შორის, უფლება დააყენოს შუამდგომლობები სასამართლო პროცესზე.

შუამდგომლობა სასამართლოში მხარის (განსაკუთრებით კი, დაცვის მხარის) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი. მისი საშუალებით მხარე სასამართლოს მიმართავს მოთხოვნით, რომელის შესრულება-არშესრულებასაც გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა და შეუძლია გავლენის მოხდენა საბოლოო შედეგზე.

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი. ბუნებრივია, იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებსაც, საქართველოს მსგავსად, უპირატეს სახელმძღვანელო პრიციპად მხარეთა შეჯიბრობითობა აქვთ არჩეული.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისიწნებს შუამდგომლობის დაყენებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ორ სახეს იცნობს - ტექსტუალურს და შინაარსობრივს.¹⁴ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, მხარეებს საშუალება ეძლევათ შუამდგომლობა დააყენონ საბრალდებო პალატის კანცელარიაში გამოძიების დასრულებამდე. გამოძიების დასრულება „განწმენდს“ ყველა მტკიცებულებას.¹⁵

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებლობის შესახებ წინასწარი გამოძიების მოსამართლე ვერ გააკეთებს მითითებას. კომპეტენტურია

¹³ 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი.

¹⁴ ჟან პადელი, (1999) *შედარებითი სისხლის სამართალი*, გამომცემლობა „სანი“, გვ. 314.

¹⁵ იგივე, გვ. 318.

მხოლოდ სასამართლო ინსტანცია.¹⁶ ამდენად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ შეუძლია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება და სწორედ საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წყდება მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხი.¹⁷

პოლონური სისხლის საპროცესო კოდექსი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ დაუშვებელ მტკიცებულებებს სამართლებრივი ძალა არ გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ პოლონურ სასამართლო პრაქტიკაშიც ერთ-ერთი აქტუალური და ხშირად გამოყენებადი სწორედ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობაა, იქ არც კი არის განსაზღვრული თუ რა ეტაპზეა შესაძლებელი ასეთი შუამდგომლობის დაყენება და მოქმედებს ზოგადი ნორმა, რომ ნებისმიერ დროს მხარეს აქვს შუამდგომლობის დაყენების უფლება, მათ შორის, საქმის არსებით (მთავარ) სხდომაზეც, ნებისმიერ მომენტში. პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მხარეს მისცეს აზრის გამოხატვის (შუამდგომლობის დაყენების) უფლება ნებისმიერ საკითხზე, ხოლო მე-2 პუნქტი ადგენს, რომ თუ მხარემ ეს უფლება გამოიყენა, ყველა სხვა მხარეს უნდა მიეცეს უფლება გააკეთოს იგივე.¹⁸

უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი, რომელიც შეეხება დაცვის მხარის - ადვოკატის უფლება-მოვალეობებს, ადვოკატს უფლებას ანიჭებს შეხვდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს კონფედენციალურად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ადვოკატს უფლება აქვს გამოიტანოს საამკაროდ განხილვის ჩანაწერები, დაესწროს ექსპერტიზას, საგამომიებო მოქმედებებს და სხვა, დააყენოს ნებისმიერი სახის შუამდგომლობა. აგრეთვე, აღნიშნული კოდექსის 261-ე მუხლი განამტკიცებს მხარეთა თანაბარ უფლებებს და ხაზს უსვამს, რომ დაცვის და ბრალდების მხარე სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობით, *inter alia*, დააყენონ შუამდგომლობები სასამართლოს წინაშე. აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისაა. ამავე კოდექსში ასევე მოცემულია 296-ე მუხლი, რომელიც საგანგებოდ არეგულირებს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის წარდგენის საკითხს. მითითებულ მუხლში არ არის დაკონკრეტება, რომ მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე შეიძლება შუამდგომლობის დაყენება. ამდენად, ეს ნორმაც ზოგადი ხასიათისაა და მოიაზრებს მთელს სასამართლო პროცესს. მაშასადამე, შუამდგომლობის დაყენება მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე მხარეებს შეუძლიათ სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

რაც შეეხება **აზერბაიჯანულ** კანონმდებლობას, აზერბაიჯანის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ არ არის მითითებული მხარეების მიერ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობის თობაზე, ანუ არ არის დაკონკრეტებული, რომ მხარეებს მხოლოდ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე შეუძლიათ ეს განხორციელდეს. ამდენად, აქაც ზოგადი მიდგომა შეინიშნება. აზერბაიჯანის სისხლის

¹⁶ იგივე, გვ. 319.

¹⁷ იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 526-ე მუხლი.

¹⁸ პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლი.

სამართლის კოდექსის 125-ე მუხლში დაწვრილებითაა განმარტული მტკიცებულების არსი, მისი მოპოვებისა და გავრცელების უფლება. თუ მხარე ზუსტად და გულდასმით დაასაბუთებს მტკიცებულების არასანდოობას, რომ ის არაკანონიერი გზითა და ხერხებით არის მოპოვებული, სასამართლო, ჟიური და ნაფიცი მსაჯულები ვალდებული არიან სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მიიღონ შუამდგომლობა და გარკვეული დოკუმენტი, მასალა თუ ჩანაწერი, უკანონო და დაუშვებელ მტკიცებულებად ცნონ ან არ ცნონ ასეთად.

შეჯიბრებითობის პრინციპი საპროცესო ლიტერატურაში, სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში გვევლინება ფუძემდებლურ ელემენტად დემოკრატიული მექანიზმის განვითარებისათვის. ვინაიდან შეჯიბრებითი პროცესის დროს უმთავრესი და გადამწყვეტი როლი სწორედ მტკიცებულებებს ენიჭებათ, შესაბამისად, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი საპროცესო დანაწესების განმტკიცება, რაც, თავის მხრივ უზრუნველყოფს სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მტკიცებულებების დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობას მხარეების მიერ.

ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შუამდგომლობის წარდგენას ნებისმიერ ეტაპზე და ეს მაშინ, როდესაც შუამდგომლობის უმთავრესი მიზანი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებაა, სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა კი ჭეშმარიტების დადგენაა, ვინაიდან მანამდე მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის თავისუფლებას უზრუნველყოფდა, ვინაიდან ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება სწორედ მხარეთა შეჯიბრებითობას ეფუძნება, სადაც პროცესის ბედს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წყვეტს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია საქმის განხილვის არსებით სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობის შეზღუდვა. აპელირება მხოლოდ იმაზე, რომ მხარეს ზედა სასამართლო ინსტანციებში შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება უკანონო მტკიცებულებით მიღებული გადაწყვეტილების მოტივით, ეწინააღმდეგება საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას და საბოლოო ჯამში, ეჭვქვეშ აყენებს შეჯიბრებითი პროცესის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შეჯიბრებითი პროცესის შინაარსის რეალური განხორციელებისათვის ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ევროსასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი დაცვის უფლების ქმედითობის და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კრილში:

ევროსასამართლოს პრაქტიკა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და გამოკვეთილ იქნას ზოგადი მიდგომა და საერთაშორისო სტანდარტები საკვლევ საკითხთან მიმართებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროსასამართლოს პრაქტიკის განხილვისას, კონკრეტული საქმე, რომელიც უშუალოდ მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე შუადგომლობის დაყენების საკითხზე გაამახვილებდა ყურადღებას, ფაქტობრივად არ მოიძებნა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მრავლად არის ისეთი საქმეები, რომლებიც მოიაზრებს შუამდგომლობის დაყენების საკითხს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში სწორედ ასეთი სახის საქმეები იქნება მიმოხილული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის დაყენების უფლება, როგორც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი ნაწილი, თავის მხრივ, პირდაპირ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რომელიც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ძირითადი ელემენტია. საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა სამართალწარმოება “სამართლიანი,” განისაზღვრება სამართალწარმოების მთლიანობაში განხილვით. მართალია, ევროპული სასამართლო არ იკვლევს რა სამართლებრივი თუ ფაქტობრივი შეცდომები დაუშვეს ადგილობრივმა სასამართლოებმა, თუმცაღა, მტკიცებულებათა გამოკვლევას და მათი დაშვება-არდაშვების საკითხს შესაძლოა საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდეს საქმის საბოლოო შედეგზე. ევროსასამართლოს უპირველესი ფუნქციაა, განსაზღვროს სამართლიანი იყო თუ არა განხორციელებული პროცედურები.¹⁹ საკითხი იმის შესახებ, “სამართლიანი” იყო თუ არა სასამართლო განხილვა, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავდება იმ საკითხისგან, სასამართლოს გადაწყვეტილება “სწორია” თუ “მცდარი.”

როგორც აღინიშნა, “სამართლიანი სასამართლო განხილვა” მოითხოვს შეჯიბრებითობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ბრალდებასა და დაცვის მხარეს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაეცნონ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით,²⁰ მათ შორის, წარადგინონ შუამდგომლობები. ადგილობრივი კანონმდებლობის ფუნქციაა, განსაზღვროს მტკიცებულებათა დასაშვებობის

¹⁹ Nuala Mole and Catharina Harby, (2001, 2006) A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights. Council of Europe, Belgium, p. 52.

²⁰ ხელმისაწვდომია: <http://www.liberty-human-rights.org.uk/human-rights/human-rights/the-human-rights-act/what-the-rights-mean/article-6-right-to-a-fair-hearing.php> <შესვლის დრო: 30.05.2013>

წესები, ხოლო სასამართლოების ფუნქციას მტკიცებულებათა შეფასება წარმოადგენს.²¹ თუმცა, იმის განხილვისას, მთლიანობაში პროცესი “სამართლიანი” იყო თუ არა, წარდგენილი მტკიცებულებების ხასიათისა და მათი მიღების წესის გამორკვევა ასევე მნიშვნელოვანია.²²

შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი საქმის მასალები ხელმისაწვდომი იყოს ორივე მხარისთვის, რათა მხარემ შეძლოს შესაბამისი დაცვის მომზადება, მათ შორის შუამდგომლობის დაყენება. ყველა მტკიცებულება გამოკვლეული უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო სხდომაზე შეჯიბრებითობის პირობებში. აღნიშნული ასევე მოიცავს მოწმეთა დაკითხვისა და მათ ჩვენებებზე განმარტების მიცემის შესაძლებლობას, თუ მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე გამოთქვას თავისი მოსაზრებები და შესაბამისად დააყენოს შუამდგომლობები, ეს ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო პროცესის „სამართლიანობას“ და ცხადია შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

საქმეში “რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ” 1993, (Ruiz-Mateos v. Spain, 1993) საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას განმცხადებლის თხოვნა მისი მოსაზრებების წარდგენაზე უარყოფილი იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. სასამართლომ განმარტა, რომ პროცესის მხარისთვის გარანტირებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებების ხელმისაწვდომობა და მათზე შეხედულებების გამოთქმის საშუალება.

კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებები უპირობოდ არ წარმოადგენენ 6 (1) მუხლის დარღვევას, თუმცა ამ ფაქტმა შესაძლოა ხელი შეუწყოს საქმის უსამართლოდ წარმართვას.²³ საქმეში „ჩენკი შვეიცარიის წინააღმდეგ“ 1988 (Schenk v. Switzerland), ჩანაწერი იქნა მოპოვებული უკანონოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე, რაზეც სასამართლომ მიუთითა, რომ 6 (1) მუხლის დარღვევას არ ჰქონია ადგილი, იმდენად, რამდენადაც დაცვის მხარემ არ გამოიყენა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შამდგომლობის წარდგენის უფლება და ამასთან, საქმეში არსებობდა სხვა დოკუმენტიც, რომელიც პირის ბრალეულობას ადასტურებდა.²⁴

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ექსპერტების დანიშვნასთან და მათი პოზიციის ბრალდებულის წინააღმდეგ გამოყენებასთან არაპირდაპირ, მაგრამ მაინც უკავშირდება საკვლევ საკითხს. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას დაცვისა და ბრალდების მოწმეების მიმართ. საქმეში “ზონიში ავსტრიის წინააღმდეგ,” 1985

²¹ Schenk v. Switzerland, 1988.

²² “INTERRIGHTS,” (2008) სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბილისი, გვ. 82.

²³ Schenk v. Switzerland, 12 Jun, 1988.

²⁴ Nuala Mole and Catharina Harby, (2001, 2006) A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights, Council of Europe, Belgium, p. 52.

(Boenisch v. Austria, 1985) ექსპერტების ანგარიში განმცხადებლის ბიზნესის წარმოების შესახებ შეამოწმა პოლიციამ. ამ მოხსენების შედეგად, განმცხადებლის წინააღმდეგ დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და ის ბრალდებულად ცნეს. იმავე პოლიციის ექსპერტი დაინიშნა სასამართლოს მიერ სასამართლო ექსპერტად და მის სამხილს გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე დაცვის მიერ მოწვეულისას, მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა აცილება მომხდარიყო ექსპერტის, აღნიშნული არ განხორციელდა. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არანეიტრალური ექსპერტის²⁵ მიერ მნიშვნელოვანი როლის შესრულებამ განაპირობა მე-6 (1) მუხლის დარღვევა.

კვლევის აღნიშნულ ნაწილში მოყვანილი საქმეები ხაზს უსვამს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მნიშვნელოვნებას ადამიანის უფლებათა დაცვაში. აღნიშნული პრაქტიკა არ უნდა იქნას გაგებული ვიწროდ. განხილულ საქმეებში ყურადღება მახვილდება მხარეების უფლებაზე განაცხადონ მტკიცებულებების თაობაზე, დააფიქსირონ საკუთარი არგუმენტები და წარადგინონ საწინააღმდეგო მოსაზრებები. ცხადია, შეუძლებელია საუბარი დაცვის ამ უფლების გამოყენებაზე ისე, რომ საკუთარ თავში არ მოიაზრებდეს შუამდგომლობის წარდგენის შესაძლებლობას მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

ისევე, როგორც ევროპული კონვენცია, საქართველოს კონსტიტუციაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს საპროცესო უფლებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში არის ჩამოყალიბებული. ამ მუხლის მიხედვით, ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლებები. ყველას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა პროცესის მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა, ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თავად პროცესზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზეც.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღირებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად - ადამიანის საყოველთაო, სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს.²⁶ როგორც ევროსასამართლომ განაცხადა საქმეზე „დელკური ბელგიის წინაარმდეგ“²⁷ - „დემორკრატიულ საზოგადოებაში სამართლიან

²⁵ მსგავსი საქმეა „სარა ლინდ ეგერტსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ, 2007 (Sara Lind Eggertsdottir v. Iceland, 2007) სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი იმ ექსპერტების დანიშვნის გამო, რომლებიც ბრალდებულის თანამშრომლები იყვნენ.

²⁶ კონსტანტინე კუბლაშვილი, (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 336.

²⁷ Delcourt v. Belgium, 1970, January 17.

სასამართლო განხილვაზე უფლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი შეზღუდვა მე-6 მუხლის პირველის პუნქტის ჭრილში დაუშვებელია.”

საყურადღებოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის კვლევისას არ მოიძებნა იმგვარი საქმეები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93.1 მუხლის (კოდექსის 169.9 და 219.4 „ა“ მუხლებთან მიმართებაში) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან შესაბამისობაზე იმსჯელებდა. ამდენად, კვლევაშიც ვერ მოხერხდა აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის ჩართვა.

ინტერვიუ-გამოკითხვა სისხლის სამართლის სფეროს კომპეტენტურ სპეციალისტებთან:

საქართველოში მოღვაწე პრაქტიკოსი ადვოკატები

პრაქტიკოსი ადვოკატების განცხადებით, სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93.1 მუხლის წყალობით არ აძლევს მხარეს საქმის არსებით განხილვაზე შუამდგომლობის დაყენების უფლებას, ვინაიდან „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში,“ ხოლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ასეთი შუამდგომლობის განცხადების შესაძლებლობა კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოდის.

საწინააღმდეგოდ, შესაძლოა ასევე იმის მტკიცებაც, რომ ნორმის არასწორი განმარტება ხდება სასამართლოს მიერ, ვინაიდან 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადებაში მითითებულია „ნებისმიერ სტადიაზე,“ თუმცა ვინაიდან ამის საწინააღმდეგოდ ასევე გვხვდება დებულება - იშუამდგომლოს „კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში,“ წინააღმდეგობა თვალსაჩინო ხდება. ნორმის გამოყენების პრაქტიკასთან ერთობლიობაში ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს მხარეს დააყენოს ვითარებასთან შესაბამისი შუამდგომლობა საკუთარი გადაწყვეტილებით.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ადვოკატის თანახმად, არსებული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დაცვის მხარის მიერ არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენებისას, საქმის განმხილველი მოსამართლე მიუთითებს ხოლმე, რომ ეს არ წარმოადგენს იმ ეტაპს, როდესაც უნდა მოხდეს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის განხილვა და მოსამართლე აღნიშნავს, რომ ეს წინასასამართლო სხდომაზე უნდა მომხდარიყო.²⁸ არსებით სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობას მტკიცებულებათა დაუშვებლობის თაობაზე სასამართლო არათუ აკმაყოფილებს, არამედ ასეთი შუამდგომლობის განხილვაზეც კი უარს ამბობს, იმ მოტივით, რომ შუამდგომლობის დაყენება უნდა მომხდარიყო მაინცდამაინც

²⁸ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 2.

წინასასამართლო სხდომაზე. მართალია, მხარეს ვერავინ წაართმევს შუამდგომლობის დაყენების უფლებას, მაგრამ მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რომ ასეთი შუამდგომლობები განუხილველი რჩება. მოცემულ სინამდვილეში, სასამართლომ თავისებურად განმარტა კოდექსში არსებული ნორმა და არასწორი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ შუამდგომლობების დაყენების შესაძლებლობა არსებობდეს სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე,²⁹ ვინაიდან, ხშირად, დაცვისთვის უმჯობესია შუამდგომლობა ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენოს მას შემდეგ, რაც დაკითხვებიან ჩხრეკასთან დაკავშირებული მოწმეები, როდესაც საკითხი ეხება ისეთი ბრალდების საქმეს, სადაც ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება გადაწყვეტი მნიშვნელობისაა. სხვა მიზეზებთან ერთად, ამ შემთხვევაში, აცილებული იქნება საფრთხე, რომ მოწმეები წინასწარ მოამზადდეს კონკრეტული თემისთვის ბრალდების მხარემ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი უფრო მეტად შემზღვეველი ნორმაა, კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილსა და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ზღუდავს დაცვის მხარის უფლებას. კერძოდ, 93-ე მუხლის პირველი ნაწილში არსებული დეფინიციის მიხედვით: “მხარეებმა შუამდგომლობა უნდა დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში,” - უფლებას ართმევს პროცესის მონაწილეს, შემდგომში ახალი გარემოების დადგენისას მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.³⁰

ერთ-ერთი ადვოკატის თანახმად, სისხლის საპროცესო კოდექსის კოდექსის 93.1, 219.4 „ა“ და 169.9 მუხლებში გარკვეული წინააღმდეგობრიობაც შეინიშნება.³¹ თუმცა, აქ მთავარი ის არის, რომ ირღვევა თანასწორობის პრინციპი, რადგან ამ პრინციპის თანახმად, მხარეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს დააყენოს შუამდგომლობა, რომელიც არის მოტივირებული და საფუძვლიანი. შეიძლება წინასასამართლო სხდომის შემდეგ გამოიკვეთა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი და დაცვის მხარეს მანამდე არ შეეძლო სცოდნოდა ეს. აღნიშნული მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ დაცვის მხარეს არსებით სხდომამდე არ ჰყავდა მოწმე დაკითხული, ხოლო საქმეში არსებული დოკუმენტებით შეუძლებელი იყო დაუშვებლობის გარემოება მანამდე გამოვლენილიყო.³²

რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლება ნიშნავს საქმეზე ეფექტურ გამოძიებასა და ობიექტურ სასამართლო განხილვას,³³ დაცვის უფლების ეფექტურობის გადმოსახედიდან, 93-ე მუხლის ფორმულირების ცვლილება საჭიროა³⁴ იმდენად, რამდენადაც 93-ე მუხლის

²⁹ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

³⁰ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

³¹ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 2.

³² სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

³³ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

³⁴ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

დღევანდელი ფორმულირება³⁵ და არსებული სასამართლო პრაქტიკა³⁶ ზღუდავს დაცვის უფლებას.³⁷

მაგალითისთვის, კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ერთ-ერთ ადვოკატს ჰქონდა შემთხვევა, როდესაც საქმის არსებით განხილვის დროს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე მოსამართლემ უარით უპასუხა. საკითხი ეხებოდა სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემას, რაც არ შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდა დაცვის მხარეს და ამის შესახებ მხოლოდ წინასასამართლო სდომის შემდეგ გახდა ცნობილი, არსებით განხილვის ეტაპზე.³⁸ ამგვარად, შეიზღუდა დაცვის უფლებები ეფექტურად განეხორციელებინა ბრალდებულის დაცვა.

მეორე მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც ამოცნობის ოქმში, ერთი შეხედვით, ყველა ნორმა ფორმალურად დაცულია. ოთხ ამოსაცნობად წარდგენილ პიროვნებაში ამომცნობმა ერთ-ერთი ამოიცნო. ეს არის წინასასამართლო სხდომის მოცემულობა, ანუ ის, რაც წინასასამართლო სხდომამდეა ცნობილი ადვოკატისთვის. დავუშვათ, დაცვის მხარეს სურს სადავოდ გახადოს მტკიცებულება და ითხოვს იმ პირის დაკითხვას, რომელმაც ამოცნობა ჩაატარა (ამომცნობი). ამომცნობი პირი საუბრობს იმ კანონდარღვევებზე, რასაც ადგილი ჰქონდა ამოცნობისას და ამბობს, რომ მას ამოსაცნობი პირის სურათები წინასწარ აჩვენეს, რაც აშკარა კანონდარღვევაა და დაუშვებელია. თუმცა, აღნიშნული დარღვევები დაცვის მხარისთვის უცნობი იყო და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ვინაიდან ამ პირის დაკითხვამდე, ამ გარემოების გამოვლენა ობიექტურად შეუძლებელი იყო. გამოდის, რომ სახეზე იყო მნიშვნელოვანი კანონდარღვევები და დაცვის მხარემ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენა შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის დროს, თუმცა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა განუხილველად დატოვა და აღნიშნა, რომ ამის ეტაპი წინასასამართლო სხდომაზე ამოიწურა.³⁹

ერთ-ერთი ადვოკატი აღნიშნავს, რომ შუამდგომლობის დაყენება რაც უფრო ნაკლებად შეიზღუდება, მით უკეთესი იქნება. შეზღუდვა უნდა იყოს მხოლოდ იმაზე, რომ შუამდგომლობის დაყენებამ არ გამოიწვიოს პროცესის გაჭიანურება. სხვა მხრივ, შუამდგომლობის დაყენების შეზღუდვა, ალბათ, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, იმიტომ, რომ პროცესზე სწორედ შუამდგომლობით ოპერირებს ადვოკატი. ეს არის ძირითადი საშუალება ადვოკატისთვის. შეზღუდვა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ

³⁵ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

³⁶ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

³⁷ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

³⁸ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

³⁹ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

ხასიათს, თავად პროცესი უნდა ემსახურებოდეს საქმის გამოძიების ინტერესებს და არა ფორმალური წესების დაცვას.⁴⁰

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებში არსებული ჩანაწერები (მუხლები 93.1, 169.9, 219.4 „ა“) შეიძლება ხარვეზიანი იყოს, მოსამართლეს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა განმარტოს სამართლის ნორმები. კანონი იძლევა საშუალებას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლემ იმოქმედოს იმის მიხედვით, რასაც საქმის ვითარება კარნახობს მას. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსამართლეები, უფრო მეტად კანონის სიტყვასიტყვითი ჩანაწერიდან გამოდიან, რაც არ უნდა იყოს მართებული მიდგომა.⁴¹

არსებული საკანონმდებლო რეგულირების და სასამართლო პრაქტიკის პირობებში, დაცვის უფლებების მსგავსი შეზღუდვა,⁴² ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი შეზღუდვა, აზარალებს მხარეს⁴³ და საქმის საბოლოო შედეგზე უარყოფით გავლენას ახდენს, ვინაიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, ხშირ შემთხვევაში, ეყრდნობა სწორედ კანონის დარღვევით მოპოვებულ დაუშვებელ მტკიცებულებებს.⁴⁴ როდესაც მოსამართლე თავიდანვე მოქმედებს სამართლიანობის პრინციპის დარღვევით, განაჩენიც და საბოლოო შედეგიც ასევე იქნება სამართლიანობის პრინციპის დარღვევით გამოტანილი.⁴⁵

საგულისხმოა, რომ არსებული სასამართლო პრაქტიკა კვლევის ფარგლებში გამოკითხული ადვოკატების პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ შეცვლილა ამ კუთხით.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირობებში, სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე იყო შესაძლებელი მტკიცებულების დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენება და სასამართლო იხილავდა ასეთ შუამდგომლობებს, რაზეც კვლევის ფარგლებში გამოკითხული ყველა ადვოკატიც თანხმდება. შესაძლოა, შუამდგომლობები არ კმაყოფილდებოდა ხოლმე, მაგრამ მოსამართლე, სულ მცირე, იხილავდა მაინც ასეთ შუამდგომლობას.⁴⁶

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ექვსი გამოკითხული ადვოკატიდან ხუთი მათგანის პრაქტიკაში, სასამართლო არსებითი განხილვის ეტაპზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე შუამდგომლობის განხილვაზეც კი უარს ამბობს და ყველა გამოკითხული ადვოკატი თანხმდება, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს შუამდგომლობის დაყენების უფლება თუ იზღუდება, ამით დაცვის უფლებაც ირღვევა. ერთ-ერთ ადვოკატის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს ეტყვის დაცვის მხარეს მტკიცებულების

⁴⁰ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 4.

⁴¹ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 2.

⁴² სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 2.

⁴³ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

⁴⁴ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 3.

⁴⁵ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 1.

⁴⁶ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 2.

დაუშვებლობაზე არსებითი განხილვის ეტაპზე, თუკი შუამდგომლობა საფუძვლიანი იყო, რასაკვირველია აქ ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევამდე მივალთ.⁴⁷

საქართველოში მოღვაწე პროკურორები

კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისას პროკურორმა აღნიშნა, რომ საქმის არსებით განხილვაზე არის ასეთი შუამდგომლობების შემთხვევები, მაგრამ ძალიან იშვიათად, რამდენადაც მხარეებს უკვე გაცვლილი აქვთ ამ ეტაპისთვის მტკიცებულებები. ასეთი შუამდგომლობა უფრო მაშინ დგება, თუ მტკიცებულება წინასასამართლო სხდომის შემდეგაა მოპოვებული.

პროკურორის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობას სასამართლო ჩვეულებრივად განიხილავს და აკმაყოფილებს, ან არ აკმაყოფილებს. როდესაც საქმე ეხება არა ახალ, არამედ ძველ მტკიცებულებას, რომლის შესახებაც დაცვის მხარემ გვიან შეიტყო, რომ კანონდარღვევით არის მოპოვებული, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, სასამართლო ამ შუამდგომლობას არ განიხილავს. თუმცა, ამის შესახებ საუბარი მხარეს დასკვნით სიტყვაში შეუძლია, რაც უფრო მომგებიანიც შეიძლება იყოს, ვიდრე შუამდგომლობის დაყენება და მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა.⁴⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის ფორმულირების 169-ე მხულის მე-9 ნაწილსა და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში ხარვეზიანობასა და წინააღმდეგობრიობასთან დაკავშირებით, პროკურორმა მიუთითა, რომ ეს ნაკლებად შეიძლება ხარვეზად ჩაითვალოს და საქმე უფრო მეტად პრაქტიკაში დამკვიდრებულ არასწორ განმარტებებს შეეხება.

პროკურორის თქმით, რთულია განსაზღვრა, იზღუდება თუ არა დაცვის უფლება მაშინ, როდესაც პროცესის არც ერთ მხარეს არ ენიჭება უფლება იშუამდგომლოს მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. ფორმალურად შესაძლოა იზღუდება კიდევაც მხარის უფლებას, თუმცა პრაქტიკაში, საქმის სამართიანად წარმართვას აღნიშნული არ უნდა უშლიდეს ხელს.

საქართველოში მოღვაწე მოსამართლეები

კვლევის ფარგლებში მოსამართლეებთან ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების საწყის ეტაპზე უფრო ხშირი იყო

⁴⁷ სისხლის სამართლის პრაქტიკოსი ადვოკატი 5.

⁴⁸ თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ არსებობს საფუძვლები, რომ მტკიცებულება ცნობილ იქნეს დაუშვებლად, ეს უნდა მოხდეს პროცესის მიმდინარეობისას და დაუშვებელი მტკიცებულებაზე მსჯერლობა არ უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში. რაც შეეხება დაცვის მხარეს, ასახავს თუ არა ამას დაცვით სიტყვაში ადვოკატი, ეს მის ნებაზეა დამოკიდებული. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გარეშე, სასამართლომ შესაძლოა ეს მტკიცებულება გადაწყვეტილების გამოტანისას გაიზიაროს ან არ გაიზიაროს, რაც ერთგვარად სასამართლოს ნებაზეა დამოკიდებული.

მხარეთა მცდელობა საქმის არსებით განხილვის დროს მტკიცებულების დაუშვებლობის თაობაზე შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის და უფრო მეტად ეს სწორედ დაცვის მხარის მიერ ხდებოდა, მაგრამ სასამართლოს არაერთი განმარტების შემდეგ, ასეთი შუამდგომლობების რიცხვმა თანდათან იკლო და პრაქტიკაში დღეს ასეთი შუამდგომლობები საქმის არსებით განხილვის ეტაპზე უკვე თითქმის აღარ გვხვდება.⁴⁹

მოსამართლეების მიერ აღინიშნა, რომ პრაქტიკაში შუამდგომლობის განხილვის ორგვარი წესი არსებობს : ა) სასამართლო იხილავს შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას; ბ) შუამდგომლობის ავტორს სასამართლო უარს ეუბნება შუამდგომლობის განხილვაზე და იმ არგუმენტზე მიუთითებს, რომ ამგვარი შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე არ განიხილება.

ერთ-ერთი მოსამართლის პირადი პრაქტიკის მიხედვით, იგი ზემოთმოყვანილ პირველ წესს მიმართავს ხოლმე. მოსამართლეს არასწორად მიაჩნია ის მიდგომა, რომ, ვინაიდან არსებითი განხილვის ეტაპი არ ითვალისწინებს მტკიცებულების დაუშვებლობაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას, ამის გამო შუამდგომლობა არც კი უნდა იქნეს განხილული და განუხილველად უნდა დარჩეს. სისხლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამბობს, რომ შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასამართლოში - დაუყოვნებლივ, ანუ საუბარია იმაზე, რომ ნებისმიერი შინაარსის შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს. ამასვე მიუთითებს კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილი, სადაც წერია, რომ შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილება.

მოსამართლეებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პრობლემა კოდექსის 93-ე მუხლის ხარვეზიანობაში კი არ მდგომარეობს, არამედ ხარვეზად უფრო შეიძლება მიჩნეულ იქნეს, ერთის მხრივ, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის ურთიერთმიმართება, სადაც, ერთის მხრივ, წერია, რომ წინასასამართლო სხდომაზე განიხილება შუამდგომლობები მტკიცებულებების დაუშვებლობის თაობაზე და მეორეს მხრივ, 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხარეს უფლებას აძლევს საქმის არსებითი განხილვის დროს კონკრეტული შემთხვევის არსებობისას დააყენოს შუამდგომლობა, კონკრეტული მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე.

ერთ-ერთი მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს, რომ ძველი კოდექსის (1998 წლის რედაქცია) მოქმედების დროს, მოცემული საკითხი ცალსახად იყო მოწესრიგებული და რამე საგანგებო დაზუსტების საჭიროებას არ იწვევდა, რადგან, მანამდე მოქმედი კოდექსის მიხედვით, როდესაც საქმის არსებით განხილვის დროს მტკიცებულებების გამოკვლევა

⁴⁹ თუმცა, პრაქტიკოს ადვოკატებთან ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი მაინც ცდილობენ ხოლმე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დააყენონ შუამდგომლობა ბრალდების ამა თუ იმ მტკიცებულების დაუშვებლობაზე. ზემოხსენებული კვლების ტენდენცია შესაძლოა სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ადვოკატები სკეპტიკურად უყურებენ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შუამდგომლობის დაყენებას, განვითარებული პრაქტიკის გამო.

დამთავრდებოდა, საკამათო სიტყვების წარმოთქვამდე მხარეს პირდაპირ და ცალსახად ჰქონდა კოდექსით მინიჭებული უფლება დაეყენებინა შუამდგომლობა გამოკვლეული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

უცხოელი ექსპერტები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა **უნგრელმა** სისხლის სამართლის ადვოკატმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ უნგრულ კანონმდებლობაში დამცველ და ბრალმძებელ მხარეებს თანაბარი უფლება გააჩნიათ წარადგინონ შუამდგომლობები მთელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. რესპოდენტის თანახმად, მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნება შუამდგომლობები, მბრალდების და დაცვის მხარეს შეუძლია საკუთარი შეხედულებები წარადგინოს მათზე. ცხადია, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება დააკმაყოფილოს აღნიშნული შუამდგომლობა, რომლის თაობაზეც დეტალური განმარტება უნდა გაკეთდეს დასკვნით ეტაპზე/გადაწყვეტილების მიღების დროს.

რესპოდენტი მიუთითებს უნგრეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43.2 (დ) მუხლზე, რომლის თანახმადაც, „ბრალდებულს უფლება აქვს მისი თავდაცვისათვის წარადგინოს ფაქტები, შუამდგომლობები და გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.“ ამდენად, დაცვის მხარეს აქვს უფლება მოახდინოს შუამდგომლობების ინიცირება და წარადგინოს საკუთარი შეხედულებები სისხლისსამართლებრივი პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე. ამ კუთხით, არავითარი შეზღუდვა არსებობს.

უნგრელი ადვოკატის მოსაზრებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ შეზღუდვას შეუძლია დაარღვიოს დაცვის უფლება და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რამდენადაც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება (ევროსასამართლოს პრაქტიკა).

მისი შეხედულებით, მტკიცებულებების თაობაზე შუამდგომლობის წარდგენის უფლების გაფართოება სისხლისსამართლებრივი პროცედურის ყველა ეტაპზე (ლოგიკური შეზღუდვებით) ერთადერთ მისაღები გამოსავალი შეიძლება იყოს.

პოლონელი სისხლის სამართლის ადვოკატი ინტერვიუში მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მხარეებს შეუძლიათ, საქმის არსებითად გახილვისას სასამართლოს ყურადღება გაამახვილონ საქმეში არსებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე. მხარეებს (მათ შორის დაცვის მხარეს) სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ნებისმიერ დროს შეუძლია წარადგინოს საკუთარი შუამდგომლობები იმ მოტივით, რომ შესაძლოა მტკიცებულება იყოს დაუშვებელი.

რესპოდენტის მოსაზრებით, ის დებულებები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლები 93.1, 169.9, 219.4 „ა“), შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც დაცვის უფლების დარღვევა.

პოლონელი ექსპერტის შეხედულებით, არ იქნება საკმარისი პრობლემის გადაჭრა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების გზით. პრობლემური საკითხი პრაქტიკის კუთხითაც უნდა დაისვას და აღნიშნული სიტუაცია პრაქტიკის თვალსაზრისითაც უნდა შეიცვალოს. ნაბიჯი, რომელიც პრობლემის მოსაგვარებლად უნდა გადაიდგას იქნება ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების აღმოფხვრა, რომელშიც ხელოვნურად შეიძლება იყოს შექმნილი.

ასევე, **აზერბაიჯანელმა** სისხლის სამართლის ადვოკატმა ინტერვიუში ასევე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდების თუ დაცვის მხარეს შეუძლია იშამდგომლოს სასამართლოს წინაშე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ამ მხრივ რამე შეზღუდვა არ არსებობს.

დასკვნა:

შეჯიბრითობა სასამართლო პროცესზე ეს არის უფლება ნებისმიერი კანონიერი სახის ქმედებაზე. სამართლიანი სასამართლოს არსებობისათვის, ქართულმა კანონმდებლობამ უნდა მიიღოს იმ რიგი ცვლილებებისა, სადაც დაცვის მხარე მაქსიმალურად იქნება გახსნილი საკუთარ მოქმედებებში, სადაც ბრალდებულის უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული ნორმების (მუხლები 93.1, 219.4 „ა“) დღეს არსებული ფორმულირება კი ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების სრულფასოვან დაცვას და, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილების მცდარობის საფუძველი გახდეს. ამიტომ, აუცილებელია ნორმების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც მოსპობს მისი სხვაგვარად გაგება-განმარტების შესაძლებლობას და არასწორი პრაქტიკის განვითარების ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებს.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოვლენილი ხარვეზის აღოსაფხვრელად საჭიროა მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“⁵⁰

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „4. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე: ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ასეთი შუამდგომლობის დაყენება მხარეებს შეუძლიათ საქმის არსებით განხილვის დროსაც.“⁵¹

⁵⁰ (ნაცვლად „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“)

⁵¹ (ნაცვლად „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.“)

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა :

ლიტერატურა:

1. ჟან პადელი, (1999) შედარებითი სისხლის სამართალი, გამომცემლობა „სანი“, თბილისი.
2. კონსტანტინე კუბლაშვილი, (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
3. „INTERRIGHTS“, (2008) სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), *სახელმძღვანელო იურისტებისთვის*, თბილისი.
4. Nuala Mole and Catharina Harby, (2001, 2006) A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights, Council of Europe, Belgium.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. „ჩენკი შვეიცარიის წინააღმდეგ“, Schenk v. Switzerland, 1988.
2. „რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ“, Ruiz-Mateos v. Spain, 1993.
3. „ბონიში ავსტრიის წინააღმდეგ“, Boenisch v. Austria, 1985.
4. „სარა ლინდ ეგერტსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ“, Sara Lind Eggertsdottir v. Iceland, 2007.
5. „დელკური ბელგიის წინააღმდეგ“, Delcourt v. Belgium, 1970.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.
2. ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემერი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალი.
5. პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 6 ივნისი.
6. უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1960 წლის 28 დეკემბერი.
7. აზერბაიჯანის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2000 წლის 14 ივლისი.

ვებ-საიტები:

1. <http://www.liberty-human-rights.org.uk/human-rights/human-rights/the-human-rights-act/what-the-rights-mean/article-6-right-to-a-fair-hearing.php> <შესვლის დრო: 30.05.2013>
2. <http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home> <შესვლის დრო: 02.06.2013>
3. <http://www.constcourt.ge/> <შესვლის დრო: 04.06.2013>

 <p>38 Nino Chkheidze St., Tbilisi, Georgia 0102</p>	 <p>Article 42 of the Constitution</p> <p>11a Kantaria St., Tbilisi, Georgia 0160</p> <p>www.article42.ge</p>	 <p>WESTMINSTER FOUNDATION FOR DEMOCRACY</p> <p>The Westminster Foundation for Democracy Artillery House, 11-19 Artillery Row, London SW1P 1RT www.wfd.org</p>
--	--	---

“This publication has been produced with the assistance of the European Union.

The contents of this publication are the sole responsibility of the Westminster Foundation for Democracy and can in no way be taken to reflect the views of the European Union.”